ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032326975-03
თარიღი: 26.09.2023 15:16
ვადა: 27.10.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01232691466 განცხადების თარიღი: 26.09.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032326975-03
26.09.2023 : 15:16
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01232691466**
თარიღი: **26/09/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გიგზავნით ,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--

2023 წლის --

ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 16/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016471) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. **მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს „ჰ^{14}“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{15}“ ქვეპუნქტი:**
   ,,ჰ^{15}) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მოვლა-პატრონობაში არსებულ პარკებსა და სკვერებში ღონისძიების გამართვის თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და რეაგირება.

2. **მე-5 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,უ“ ქვეპუნქტი:**
   უ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მოვლა-პატრონობაში არსებულ პარკებსა და სკვერებში ღონისძიების გამართვის თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და რეაგირება.

მუხლი 2.
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახურის), მათ შორის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებების ფუნქციები. აღნიშნული დებულების თანახმად, მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა, ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებს მიეკუთვნება, სწორედ ამიტომ, პარკებსა და სკვერებში, სხვადასხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ, ღონისძიებების გამართვის თაობაზე წინასწარ წერილობით გაფრთხილებას იღებს და შესაბამის რეაგირებას ახორციელებს ზემოაღნიშნული განყოფილება.

იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიების თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და შემდგომ მისი შეთანხმება დარეგულირებულია მხოლოდ სამსახურის პრაქტიკით და იგი არ არის დებულებაში ასახული, საჭირო გახდა აღნიშნული ფუნქციის სამართლებრივი ნორმით დარეგულირება.

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებიდან.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.